

განმარტებითი ბარათი
„ვეტერინარიის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების
შეტანის თაობაზე საქართველოს კანონპროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

შემოსავლების სამსახური საქართველოს საბაჟო კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად ახორციელებს სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლს. აღნიშნული პროცედურები ითვალისწინებს ვეტერინარულ სერტიფიცირებას დაქვემდებარებული საქონლის ექსპორტის შემთხვევაში საბაჟო ორგანოსთვის ვეტერინარული სერტიფიკატის წარდგენას. ხშირ შემთხვევაში, საქონლის ექსპორტიორს უწევს საბაჟო კონტროლის ზონებში საქონლის შეჩერება და საქონლის ვეტერინარული სერტიფიკატის ალებისათვის სათანადო პროცედურების განხორციელება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის სამსახურში, რაც აგრეთვე შესაძლებელია განხორციელდეს შემოსავლების სამსახურის უფლებამოსილმა პირებმა (ვეტერინარი).

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია გამარტივდეს სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლის პროცედურები, საქონლის სერტიფიცირება განხორციელდეს უშუალოდ საბაჟო კონტროლის ზონებში, შემოსავლების სამსახურის მიერ.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტი განსაზღვრავს ვეტერინარული სერტიფიკატის გამცემ ორგანოებს – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - შემოსავლების სამსახურს. ასევე პროექტი ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცდეს “საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ ცხოველთა, მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული სერტიფიკატების ფორმისა და გაცემის წესი“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტს მიღება ბიუჯეტის სამემოსაკლო ნაწილის ფორმირებისათვის ფისკალურად ნეიტრალურია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიშვება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება.

ბ.ე) კანონპროექტით მოსალოდნელი ფინანსური შედეგი იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას გადასახადის განაკვეთებზე და შესაბამისად თანმდევ ფინანსურ შედეგებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესის (პრინციპის) ცვლილება.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

საქართველოს მთავრობა.